„დადობენ“ თუ არა პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილს

რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერენ მხარს „ჭადრების ბაღში“

მარი კოკოევი

სანამ ახალი პრეზიდენტის ვინაობა გაირკვევა, პოლიტიკურად აქტიური გულშემატკივრები კანდიდატების ღირსებებსა და ნაკლოვანებებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე განიხილავენ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ გასულებს საკუთარი შეხედულებების გაზიარებას არ დაგვზარდნენ.

ზურაბ დოლიძე: – არ ვიცი, წავალ თუ არა არჩევნებზე. არჩევნებზე ინგლისში ყოფილა 4 კანდიდატი, გერმანიაში - 3, ჩვენთან 46-ზე ავიდა, მერე ცოტათი შემცირდა. ჭკუა გვაქ ბევრი ნამეტანი. იმ-დენი, რომ პატარა სხვასაც უნდა გავუნაწილოთ. მოდით, ერთზე შევთანხმდეთ. როგორც მე თქვენ გხედავთ, ზურაბიშვილია პრეზიდენტი, არ უნდა ბევრი კითხვა. ეიღებენ და დადობენ. სხვა რომ დადვან, ვარესი იქნება, ჯობია კიდო მაგი იყოს დადობილი მაქანე.

ოგანეს ნიკოგოსიანი: :–როგორ არა, მივდივარ არჩევნებზე. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია მაგრამ, ვფიქრობ, რეალური კანდიდატია ბაქრაძე.

მაგული მარგალიტაძე::– არ ვენდობი „ოცნებას“. რა გააკეთა საერთოდ? საკაშვილმა უფრო მეხმარა ხალხს, ვიდრე ამათმა. საკაშვილი ნამდვილად არ გვინდა, ღმერთმა არ დაბრუნოს, მაგრამ ესენიც არ არიან უკეთესი. სხვა კანდი-დატებთან შედარებით უსუფაშვილი ჭკვიანი კაცია. ნინო ბურჯანაძეს მივცემდი ხმას, მაგრამ არ იყარა კენჭი. საშუალება არ მაქ იმის, რომ პენსია ავიღო და ერთი, 20 ლარი მოხუცებულმა ქალმა ჩემთვის დავიტოვო. პენსიას არ გვიმატებენ, აძვირებენ ყველაფერს, რა ქნას ამ ხალხმა? ოჯახში ექვსი ვართ, ორი პენსიონერი, ორი ბავშვი. შვილები ვერ მუშაობენ, პენსიაზე დგას ოჯახი. ჩვენი შემოსავალი თხილი იყო, რომელიც წელს საერთოდ არ აგვიღია. კიდევ მაქვს, მაგრამ ფაროსანას საწინააღმდეგოდ შესხურებები რომ ჩაატარეს, გაახმო. წამალმა რას არგო, არ ვიცი, ფაროსანები კი გვყავს და მოსავალი გაგვინადგურა.

მანანა აბულაძე - მე „ოცნების“ წევრი ვარ და იმ კანდიდატს შემოვხაზავ, რო-მელსაც „ოცნება“ დაუჭერს მხარს.

გულნარა დოლიძე: არჩევნებზე მივალ, რატომაც არა. ხმას გრიგოლ ვაშაძეს ვაძლევ.

ვეფხვია ბუაძე: ორი კანდიდატი მომწონს, ბაქრაძე და ვაშაძე. არ მგონია სხვას თუ მისცემს ვინმე ხმას. ვინ გვყავს მეტი ნორმალური? საბოლოოდ რომელს გადავწყვეტ, ჯერ არ ვიცი.

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 36 (10281) 24 სექტემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

„გურია არის პოლიფონიის მსოფლიო ცენტრი“

ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრი გაიხსნა

ალიონი. გასულ ხუთშაბათს ქ. ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა. მშენებლობა 2 წელს მიმდინარეობდა და იგი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით (1,6 მილიონ ლარზე მეტი) განხორციელდა.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის შენობა, რომლის ერთ ფლიგელში განთავსდა ფოლკლორის ცენტრი, ავარიული იყო და რეაბილიტაციას საჭიროებდა. პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა და გარე ინტერიერს. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ოზურგეთის ფოლკლორის სახლში განთავსდება არ-ქივი და ხმის ჩამწერი სტუდია. აქ თავს მოიყრის ანზორ ერქომაიშვილის მიერ შეგროვებული უნიკალური მასალა. დასავლეთ საქართველოდან ანსამბლებს სიმღერების ჩასაწერად თბილისში ჩასვლა აღარ მოუწევთ. პროექტი ფოლკლორულიტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გვ-2

უფასო პოლიტიკური რეკლამა

პოლიტიკური პარტიები საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ

მარი კოკოევი

თქმა არ უნდა, როგორც ნებისმიერი სხვა, ისე საპრეზიდენტო არჩევნებიც, ციებ-ცხელებით ჩაივლის და სწორედ აქედან გამომდინარე, ცნობისმოყვარე საზოგადოება იმის ძიებაშია ვის შეეყრება ციება, ვის კიდევ - ცხელება და საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებს.

მოკლედ, საინტერესოდ მივიჩნიეთ, მკითხველისათვის გაგვეცნო როგორ ემზადებიან, როგორ უყურებენ კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებს ოზურგეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, მათი აზრით, რამდენად სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდება ეს არჩევნები და რა უპირატესობა აქვთ მათ კანდიდატს სხვებთან შედარებით.

მერაბ ჭანუყვაძე (*„ქართული ოცნება“ - დემოკრატიული საქართველო*):– ინტენსიურად ვმუშაობთ და ვემზადებით საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი პირველივე ტურში მოიპოვებს გამარჯვებას.

ქალბატონი სალომე არის ღირსეული კანდიდატი, რომელიც დამაჯერებლად გაიმარჯვებს და პირნათლად შეასრულებს მისთვის კონსტიტუციით დაკისრებულ ფუნქციამოვალეობებს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჩვენი პარტიის ხელისუფლების პირობებში არჩევნები კონკურენტულ გარემოში, გამჭვირვალედ და მაღალი დემოკრატიული სტანდარტით ტარდება. ჩვენი ხელისუფლება არის და იქნება ამის გარანტი.

მიხეილ გოგოტიშვილი (*„ევროპული საქართველო“*): – ევროპული საქართველოს ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ, ისევე როგორც მთელმა ევროპულმა საქართველომ, დავიწყეთ წინასაარჩევნო მზადება, პრეზიდენტობის კანდიდატის, ბატონი დავით ბაქრაძის წარდგენის დღიდან. შეიქმნა რაიონული შტაბი.

არჩევნები, სავარაუდოდ, ისევე, როგორც „ოცნების“ მიერ ჩატარებული გასული არჩევნები, არათანასწორ და არაობიექტურ გარემოში ჩატარდება, ვინაიდან „ოცნება“ მის მიერ მოწონებული, საკმაოდ სუსტი დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდასაჭერად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს რაც გამოიხატება საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს ზეწოლებითა და სხვადასხვა აქტივობებით ხელისუფლების მხრიდან.

გვ-3



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ევროპა ბეთში“ მამაკაცი გარდაიცვალა

ალიონი. გასულ ორშაბათს ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №1-ში მდებარე სათამაშო კლუბ „ევროპა ბეთში“ მამაკაცი გარდაიცვალა.

შემთხვევა დილის საათებში მოხდა. შემოქმედელი გ.გ. ქალაქში იმყოფებოდა და ძლიერმა წვიმამ სწორედ აღნიშნული დაწესებულების წინ მოუსწრო. შენობაში შევიდა და წვიმის გადაღებას დაელოდა. მოულოდნელად, სავარაუდოდ გულის უკმარისობით გარდაიცვალა.

– გ.გ-ს გარდაცვალება შემატყობინეს და სასწრაფოდ მივედი „ევროპა ბეთის“ შენობაში. გ.გ იატაკზე იწვა. პოლიციელები გარკვეულ პროცედურებს ასრულებდნენ. მომდევნო დარბაზში სლოტ აპარატთან მამაკაცი იდგა და გამწარებით „მუშაობდა.“

–ხომ ხედავ გვერდზე მიცვალებული წევს. სანამ ამ შენობიდან გადაასვენებენ, იქნებ დროებით შეგეჩერებინა თამაში, გარდაცვლისთვის გეცა პატივი-ვთხოვე აპარატთან მდგომს.

–რას ამბობ ძმაო, იმდენი ფული წავაგე, ამ აპარატს როგორ მოვცილდები, – მიპასუხა და „საქმიანობა“ განაგრძო. არ გამიგრძელებია, რადგან პოლიციამ მოჰკრა ყური ჩვენს კამათს. გული დამწყდა, რომ ასე იქცეოდა. ისე, ის კი დავადგინე, რომ ის „მოთამაშე“ ოზურგეთელი არ იყო – გვითხრა ზ.ც-მ.

– ამ კლუბში, თავისი პროფილიდან გამომდინარე, ასეთი სიტუაციაა. დახურული სივრცე, ამდენი ადამიანია დარბაზში და ვისაც გული აწუხებს ან სასუნთქი გზების პრობლემა აქვს, შესაძლოა ცუდად შეიქნას, –გვითხრა ერთ-ერთმა კლუბიდან გამოსულმა მოქალაქემ.

–არაა სწორია, თითქოს სამორინემ უბედური შემთხვევისას მუშაობა არ გააჩერა. ჩვენ შემოსავლების სამსახურს დავუკავშირდით და გარკვეული დროით მუშაობა შევაჩერეთ. სხვას დამატებით ვერ გაიპასუხებთ, რადგან ამის უფლება არ მაქვს –ასეთი კომენტარი გააკეთა სამორინეს მენეჯერის მოადგილე **მზია ტრაპაიძემ.**

ამერიკელი ექსპერტი ოზურგეთში



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ქალაქ თბილისის სურსათვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, **SAID/REAP**-ის მოწვეული ექსპერტი გრეგ კრავჩუკი იმყოფებოდნენ, ამერიკელი ექსპერტი აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით არსებული ვითარების გასაცნობად საქართველოს სპეციალურად სტუმრობს. ისინი სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსთან ნინო შეწირულთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდნენ, სადაც შეხვდნენ ფერმერებს დაათვალიერეს ფართობები და მონიტორინგის სისტემას გაეცნენ.

სტუმრები დაბა ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიას ესტუმრნენ, სადაც ფაროსანას შესწავლისა და მასზე დაკვირვების სამუშაოები მიმდინარეობს.

როგორც შეხვედრაზე გრეგ კრავჩუკმა აღნიშნა აზიურ ფაროსანასთან ერთიანი ბრძოლით შედეგს აუცილებლად მივიღებთ.

„რისთვის მივალ გურიაში“

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში პროექტის „მონაწილეობითი **CHARRETTE** გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ მცირე გრანტების ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „რისთვის მივალ გურიაში“ პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი კულტურულ - ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ნიმუშები.

პროექტი მიზნად ისახავდა ოზურგეთის კულტურულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობას ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობით.

პრეზენტაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

გაერთიანებული წყალმომარაგების წარმომადგენლები გურიაში

გურიის გუბერნიაში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილე ზაზა სიხარულიძე, წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე და საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია დაბა ურეკში მცხოვრებ მცირე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც წყალმომარაგების კუთხით არსებულ პრობლემები და მათი მოგვარების გზები განიხილეს. ისაუბრეს წყალარინების ქსელის რეაბილიტაციასა და სამომავლო გეგმებზე. ზაზა სიხარულიძის თქმით, დაბა ურეკის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად წყალარინების სისტემის მშენებლობის სამუშაოები გრძელდება, რომელიც მომავალ წელს დასრულდება.

შეხვედრაზე, დაბა ანასეულში სასმელი წყლის პრობლემა განიხილეს და აღნიშნეს, რომ 2019 წლის მარტის თვეში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა დაიწყება, რის შემდგომაც ანასეულის მოსახლეობა სასმელი წყლით 24 საათის განმავლობაში მომარაგდება.

მიმდინარე წელს დასრულდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია. 3000-ზე მეტი მოსახლე უწყვეტი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. შეხვედრის შემდეგ, მათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შევარდნაძის, გენიჩესკისა, წმინდა გიორგის ქუჩები მოინახულეს და წყლის შიდა ქსელის პრობლემებს გაეცნენ.

უახლოეს პერიოდში აღნიშნული ქუჩების მოასფალტება დაიწყება.

ლაცაბიძეების სოციალურად დაუცველ ოჯახს მერიამ სახლი გადაუხურა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შემოქმედელის ქუჩაზე მცხოვრებ ჟუჟუნა ლაცაბიძეს საცხოვრებელი სახლი უმაღლესი ხარისხის თუნუქის სახურავით გადაუხურა. იაკობ შემოქმედელის ქუჩის 1-ში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ჟუჟუნა ლაცაბიძეს საცხოვრებელი სახლი 2017 წლის 23 აპრილის სტიქიამ დაუზიანა. ქარიშხალმა სახლს სახურავი გადახადა. დაზიანდა ძველი ელექტროგადამცემი ხაზები და ცეცხლიც გაჩნდა. დაზარალებულმა დახმარებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შეძენილ იქნა თუნუქის სახურავი და ხეობა. მიმდინარეობს სახლის გადახურვის სამუშაოები.

სამუშაო პროცესს ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე და მერიის ინფრატრუქტურის სამსახურის თანამშრომელი მიხეილ შალამბერიძე გაეცნენ.

ფეხბურთი

„მერცხალი“ ახალ სეზონში

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ოზურგეთის „მერცხალი“ რეგიონლიგის დასავლეთ ქვეჯგუფში ასპარეზობს.

„მერცხალმა“ ახალ ჩემპიონატში 4 მატჩი გამართა, საიდანაც 2 მოიგო („იმერეთთან“ 3:2; „სქურთან“3:1), ხოლო 2 გასვლითი მატჩი ფრედ დაამთავრა („რაჭასთან“ 1:1; „საირმესთან“ 2:2) და 8 ქულით (ბ/შ 9:6) გათამაშების ცხრილში მე-2 ადგილზეა.

ქვეჯგუფში 10 ქულით აბაშის „ზანა“ ლიდერობს. „საირმეს“ 8 ქულა აქვს.

26 სექტემბერს „მერცხალი“ აბაშაში „ზანას“ შეხვდება.

„დადობენ“ თუ არა პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილს

რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერენ მხარს „ჭადრების ბაღში“

ნუნუ ფულაძე: – ვისაც საჭიროა, იმას ვაძლევ ხმას . ახლა ვერ დავაკონკრეტებ.

ბორის კუპრაძე: –

აუცილებლად წავალ არჩევნებზე ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია, მაგრამ აქამდე სულ სახელისუფლებო კანდიდატს ვაძლევდი ხმას. ალბათ, ახლაც ასე მოვიქცევი. ნურავის ეწყინება. „ნაციონალები“ იყო, მათაც მივეცი ხმა, მერე რაღაც შეეშალათ, სხვას დავუჭირე მხარი.

როენა ფოცხიშვილი: –მივდივარ არჩევნებზე, მაგრამ

ოზურგეთში არ ვარ რეგისტრირებული. ლანჩხუთში უნდა მივცე ხმა. რა თქმა უნდა, ზურაბიშვილს მივცემ ხმას.

რუსი ქალბატონი, რომ-

ელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა: – საერთოდ არ ვიცი, მივალ თუ არა არჩევნებზე.

ია ბაბილოძე:–ალბათ, არ

მივალ არჩევნებზე. რა აზრი აქვს. არც ერთი კანდიდატი არ მომწონს. მაგრამ შედარებით მეტად მაინც „ოცნების“ იმედი მაქვს.

ბიძინა ხომერიკი: – არჩ-



ევნებზე მივდივარ. ხმას გრიგოლ ვაშაძეს ვაძლევ.

ქალაქში შუქნიშნები დამონტაჟდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაბრიელ ეპისკოპისისა და დოლიძის ქუჩების კვეთაში საგზაო უსაფრთხოების მიზნით, შუქნიშანი დამონტაჟდება, ასევე სამ სამარშრუტო ტრასაზე, საგზაო ნიშნები და მონიშვნები განთავსდება, სადაც მოხდება მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება.

სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება და ორ თვეში დასრულდება, რომელსაც შპს „გზაჯვარედინი“ განახორციელებს.

პოლიტიკური პარტიები საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ

დაკომპლექტებულია, საარჩევნო კომისიები, 62-ვე საუბნო საარჩევნო კომისიაში გვყავს პროფესინალი წევრები და პარტიის წარმომადგენლები. დაწყებული გვაქვს პლაკატების გაკვრა და ფლაერების დარიგება მოსახლეობაში. ვაწარმოებთ კარდაკარ შეხვედრებსა და შეხვედრებს, ვემზადებით დიდი შეხვედრისათვის 28 სექტემბერს მერიის წინ მდებარე პარკში, ბატონი დავით ბაქრაძესთან.

ბატონი დავით ბაქრაძე, უალტერნატივო კანდიდატია რეალური პროგრამით, რომელსაც აქვს ძალა, უნარი და უზარმაზარი პრაქტიკული გამოცდილება რომ გამოიყვანოს ქვეყანა ჭაობიდან და ნორმალური განვითარების რელსებზე დააყენოს საქართველო. მას არც ერთი წუთით არ მიუტოვებია სამშობლო და ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის საქართველოს ყველა მოქალაქის კეთილდღეობისათვის. ჰყავს სანიმუშო ოჯახი და არის ქართული ტრადიციების დამცველი მთელ მსოფლიოში.

დავით მჟავანაძე *(გაერთიანებული ოპოზიცია)* –: გვაქვს აქტიური წინასაარჩევნო კამპანია. ვხვდებით ამომრჩეველს, ვაცნობთ პროგრამას, რომელსაც სთავაზობს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი. შეხვედრებზე ნათლად ჩანს, რომ ხალხი მზად არის ცვლილებისთვის. ამასთან შეგუება მოუწევს ხელისუფლებას და იმ კანდიდატს, რომელიც ხელისუფლებამ წარმოადგინა. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდებით უამრავ ადამიანს და ვაწყდებით უამრავ პრობლემას. ეს პრობლემები ჩემთვის, როგორც საკრებულოს დეპუტატისთვის, არ ყოფილა უცხო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოლოდინსაც კი აჭარბებს. ხალხის სიდუხჭირე, შიმშილობა, მოხსნილი სოციალური დახმარება. ადამიანები ქვეყნიდან გაქცევით და სხვა ქვეყანაში დასაქმებით ცდილობენ ოჯახების გამოკვებას. ამ ყველაფერში, რა თქმა უნდა ხელისუფლების დიდი წვლილია. მათი დანაშაულებრივი მმართველობის შედეგია ეს ყველაფერი. ზუსტად ვიცი, რომ ეს იქნება ის არჩევნები, როცა ხელისუფლებას ხალხი ეტყვის უარს.

სახელისუფლებო რესურსი უკვე გამოყენებულია. ასევე აქტიურად არის ჩართული ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისია. ზურაბიშვილი არის ვითომ დამოუკიდებელი კანდიდატი. არანაირი დამოუკიდებელი კანდიდატი არ არსებობს. ეს არის „ქართული ოცნების“ კანდიდატი, რომელიც არის რუსული სპეცსამსახურის ნომრიანი აგენტი. ასეთ კანდიდატს უჭერს ხელისუფლება დღეს მხარს. ცდილობენ ყველა მეთოდით და გზით გაამარჯვებინონ სასურველ კანდიდატს. ამიტომ უკვე დაიწყეს არჩევნების გაყალბება. უბნებზე გადაანაწილეს „ქართული ოცნების“ აქტივისტები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ეს ორმხრივად მომგებიანი მათთვის, რადგან, პირველი ამ ადამიანებს აქვთ კონკრეტული ვალდებულება ხმის მიცემის თავის გარემოცვასთან ერთად და ამავდროულად ისინი ემზადებიან არჩევნების გაყალბებისთვის. ამაზე დიდი რესურსი რაღა შეიძლება გამოიყენონ. რა თქმა უნდა, გამოიყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს, რადგან დანაშაულებრივი გზებით რუსული სპეცსამსახურის აგენტი გახადონ პრეზიდენტი.



თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრეზდენტს ძალიან დიდი ფუნქცია ეკისრება საერთაშორისო ასპარეზზე, თუ გავითვალისწინებთ რა გამოცდილება აქვს ამ მხრივ და არა მარტო ამ კუთხით გრიგოლ ვაშაძეს, დავრწმუნდებით, რომ მას აქვს ძალიან დიდი შანსი. ვფიქრობ, როცა საუბარია გრიგოლ ვაშაძესა და სალომე ზურაბიშვილზე, სასაცილოა ზურაბიშვილი იყოს ვაშაძის კონკურენტი. ჩვენ გვახსოვს გრიგოლ ვაშაძის წვლილი თუნდაც საომარი მდგომარეობის დროს, მინისტრობის დროს. სასაცილოც კია მოღალატის და გამყიდველის მასთან შედარება. სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ ხელის გადაგრეხით და ძალისმიერი მეთოდებით თუ მოაგროვებს ხმებს თორემ უშუალოდ „ქართული ოცნების“ აქტივისტებიც კი მის მიმართ აგრესიულად არიან განწყობილი.

დავით მამალაძე *(„ლეიბორისტული პარტია”)*: – დიდი მოლოდინები გვაქვს ჩვენი კანდიდატის შანსებთან

დაკავშირებით. უალტერნატივო კანდიდატია შალვა ნათელაშვილი, იმიტომ, რომ თვითონ „ოცნების“ აქტივისტებიც არ უჭერენ მხარს სალომე ზურაბიშვილს. ბაქრაძე და ვაშაძე ხმებს ერთმანეთს აძლევს და ვინღა დარჩა?! ხალხი თუ მასობრივად მოვიდა არჩევნებზე, პირველივე ტურში გაიმარჯვებს შალვა ნათელაშვილი.

წინასაარჩევნო გარემოს რაც შეეხება, მატერიალური თვალსაზრისით, იცით ჩვენი მდგომარეობა, სხვასთან შედარებით. ბურჟუაზია აფინანსებს მის სატელიტ პარტიებს და კანდიდატებს. ჩვენ ვართ ხალხის იმედად. რაც შეეხება ურთიერთობებს, ერთმანეთს ხელს არ ვუშლით. ჩვენ ჩვენი ელექტორატი გვყავს, ჩვენი ბრენდი გვაქვს მთელს საქართველოში. დაგვიჭერენ მხარს, გადავარჩენთ ერს, არ დაგვიჭერენ და მერე იხადონ კიდე 30 წელი პროცენტიანი ვალები და ემსახურონ ბურჟუაზიას. შალვა ნათელაშვილი ან სხვა დანარჩენი, ასეთია გარემოება. დანარჩენი კანდიდატები ყველა ერთია ჩვენთვის.

გოჩა ძიმისტარიშვილი (*„თავისუფალი საქართველო“*): – ეს არჩევნები არის ფარსი. იმიტომ, რომ არჩევნებს ატარებს ხელისუფლება, რომელიც არის ყალბი და ცდილობს, გააყალბოს არჩევნებიც. ყველაფერი ამის თავი და თავი არის ბიძინა ივანიშვილი. არანაირი ობიექტური არჩევნები არ იქნება, გამორიცხულია. ჩვენ იძულებულები ვართ, არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა, არ არის გამორიცხული გაერთიანდეს ეროვნული ფრთა კახა კუკავას ირგვლივ და შესაძლებელია გავიდეთ მეორე ტურში, თუმცა, ეს ძალიან რთული იქნება. მეორე ტური ნებისმიერ შემთხვევაში იქნება. სამწუხაროდ, არჩევანს აღარ გვიტოვებენ, პირდაპირ წახვალ სალომე ზურაბიშვილია, მარჯვნივ წახვალ - ვაშაძე, მარცხნივ - მეჩანგლე ბაქრაძე. ჩემი აზრით, ამ არჩევნებს საერთოდ არ აქვს აზრი, ერთადერთი მოთხოვნა ერის, ბერის, მთელი ქვეყნის, უნდა იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ყოველგვარი გაყალბების გარეშე. ეს იქნება ყველაზე სწორი. სჯობდა „ოცნებას“ თავისი კანდიდატი დაეყენებინა. ვითომ დამოუკიდებელ კანდიდატს უჭერენ მხარს. ეს საზოგადოების მასხრად აგდებაა. ხელისუფლება თავის რესურსს მაქსიმალურად მოახმარს ზურაბიშვილს. ასეთმა დამოკიდებულებამ „ოცნების“ ისედაც ცუდ ავტორიტეტზე უარყოფითად იმოქმედა.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲛᲐ ᲒᲣᲠᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲐᲫᲐᲠᲡ ᲡᲐᲡᲐᲜᲗᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ

ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲐ ᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘ.

მღვდელი კირილე არობელიძე გურიანთის ეკლესიაში მსახურობდა გასაბჭოების წლებამდე. მისი საეკლესიო მსახურება საბჭოთა რეჟიმმა შეწყვიტა. გადმოცემის თანახმად, მღვდელს ნახევარი სახე გაპარსეს, ანაფორა გახადეს და ხის ეკლესია დაანგრიეს. მისი საძირკვლის ნაშთი ახლაც არის გურიანთის სასაფლაოზე.

კირილე არობელიძე დაიბადა 1861 წელს, გარდაიცვალა 1945 წელს. ამ დღეებში მისმა შთამომავლობამ გურიანთის მშენებარე ეკლესიას შანდალი, სასანთლე შესწირა.

ქეთევან ჭეიშვილმა ძმების, მღვდების კირილე და პეტრე არობელიძის ხელმოწერილი დოკუმენტები გაასაჯაროვა, რომლებიც 1883-76 წლებით თარიღდება.

გვარი დალოცა და მღვდელ კირილე არობელიძის საფლავი აკურთხა მამა ერმოლაოსმა:

მამა ერმოლაოსი: „ - ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო, მადლობა შევწიროთ უფალს დღევანდელი დღისთვის. გურია თავიდანვე ცნობილი იყო ღვთისმოსაობითა და ეკლესიური ცხოვრების წესით და სამწუხაროდ, კომუნისტური რეჟიმის დროს ეს ყველაფერი განადგურდა და გაუკუღმართდა. კაცთმოყვარე ღმერთისწყალობითა და თქვენნაირი ადამიანების თანადგომით ისევ აღირძინდა ეკლესიური ცხოვრება გურიაში.

გურიანთა შვიდი ეკლესია-მონასტერი იყო. აქედან ერთ-ერთი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის-შობის ტაძარი, ამ სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე. ტაძარში მსახურობდა მამა კირილე არობელიძე, რომლის შტოდანაც ხართ თქვენ და დღეს აქ ადიდებთ უფალს. ძალიან დიდი მადლი და წყალობაა გვარში სასულიერო პირის ყოლა. მისი ლოცვა, ცათა სასუფეველიდან გადმოსული შეეწიოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს. ღვთისაგან შეიწირება თითოეული თქვენგანის ლოცვა და ფიქრი. გვარის შეკრება საღვთო საქმის ირგვლივ ძალიან მნიშვნელოვანია, ღმერთი თქვენთან არის."

გვარის წარმომადგენელთა ინიციატივა ქალბატონ ფოთოლა არობელიძის ორგანიზებით განხორციელდა.

მამა ერმოლაოსმა არობელიძეები დალოცა და ტაძრის მშენებლობის გასრულების შემდგომ პირველ საზეიმო წირვაზეც მიიწვია.

მშენებარე ტაძრისათვის შეწირულ სასანთლეს გურიანთაში, მრევლის წევრი ერთ-ერთი ოჯახი შეინახავს.

ᲚᲘᲐ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲦᲔᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲡ, ᲒᲚᲔᲮᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ

გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და მავნებელ-დაავადებათა ინტენსიური გავრცელების ფონზე უკანასკნელ წლებში საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურა დაზარალდა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის სპეციალისტები, რადგან ამ ზონის ეპიცენტრში ვიმყოფებით, ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს თითოეული კულტურის დაზიანების სიმპტომატიკას. ჯერ იყო და ნაადრევმა თბილმა გაზაფხულმა ციტრუსოვნები და სხვა სუბტროპიკული ხეხილოვნები მასიურად ააყვავილა, ასევე უხვი ყვავილობა დაფიქსირდა ამ ზონაში ფართოდ გავრცელებულ ხეხილოვნებზე, კურკოვნებსა და სხვა კულტურებზე. აპრილ-მაისის უჩვეულო კლიმატმა - დღისით მაღალი, ღამით კი დაბალი ტემპერატურების ფონზე, ყველა მცენარეზე მასიურად შეინიშნებოდა ნასკვების ცვენა. ამას დაემატა აზიური ფაროსანას, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების მასიური აღზევება, რამაც, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სერიოზული ზიანი მიაყენა თხილის ბაღებს, ხეხილოვნებს მარცვლოვან და ბოსტნეულ კულტურებს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ისედაც მცირედ მსხმოიარე ციტრუსებმა აგვისტოს მეორე ნახევარში მასიურად დაიწყეს ნაყოფების ნაადრევი გაყვითლება და ცვენა, ასევე ამ პერიოდში მასიურად ჩამოცვივდა სუბტროპიკული ხურმის უმწიფარი ნაყოფები, რაც წინა წლებში არ შეინიშნებოდა. ხეხილოვნებიდან მნიშვნელოვნად დაავადდა ვაშლისა და მსხლის ნაყოფები (დეფორმირებული, გამაგრებული და გამოსაყენებლად უვარგისი). რაც შეეხება ჩვენი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან მარცვლოვან კულტურას - სიმინდს აგვისტოს თვეში უკვე აზიური ფაროსანას მავნეობით ტაროებმა ზედა ნაწილიდან დაიწყეს გაშავება და ლპობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბოსტნეული კულტურების მასიური განადგურება ღია გრუნტის პირობებში. მიმდინარე წელს სუბტროპიკული ზონის ყველა რეგიონში საერთოდ არ შემოსულა კიტრი, ბადრიჯანი, ბულგარული პილპილი და, რაც მთავარია, მწვანე ლობიო - რომელიც ამ ზონის მოსახლეობის ძირითადი საკვები კულტურა იყო. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ყველა ეს კულტურა, მიუხედავად კარგი ვეგეტაციური ნაზარდებისა, ყვავილობაში ვერ შევიდნენ, ნაყოფი არ მოუსხამთ და თუ კი რომელიმე გამოინასკვა - დეფორმირებული და გამოსაყენებლად უვარგისია. რაც შეეხება პომიდორის ნარგავებს, მათ პირველი ვეგეტაციის ნაყოფების ფორმირება და დამწიფება მოასწრეს, ხოლო მეორე ვეგეტაციის ნაყოფები (აგვისტო) მთლიანად აზიურმა ფაროსანამ გაანადგურა.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარ, დასავლეთ საქართველოს ბაზრები დღეს უცხოეთიდან შემოტანილი ხილ-ბოსტნეულით მარაგდებიან, იზრდება ფასები და მოსახლეობა უსახსრობის გამო კრიზისულ მდგომარეობაშია. ჩვენი ვარაუდით უკანასკნელი წლების განმავლობაში 2018 წლის სავეგეტაციო პერიოდის სიტუაცია სუბტროპიკულ ზონაში განსაკუთრებული შემთხვევაა. აქ აზიური ფაროსანას გარდა, სხვა არახელსაყრელ კლიმატურ ფაქტორებთან ერთად, შესაძლებელია ახალი მავნებელ-დაავადებების გამოვლენის ფაქტებთანაც კი გვქონდეს საქმე. მოსახლეობაში მრავალი გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი მოსაზრებებია - თითქოსდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოყენებული შხამ-ქიმიკატები და განსაკუთრებით „თერმული ნისლით" ტერიტორიების დამუშავება აზიანებს სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და განსაკუთრებით ბოსტნეულის მეტად ნაზ რეპროდუქციულ ორგანოებს, ყვავილს, ნასკვს და ა.შ. რის გამოც არ მიმდინარეობს გამონასკვის, ნაყოფის ჩამოყალიბებისა და ზრდის პროცესი. შესაძლებელია ეს მოსაზრება რეალობას მოკლებულია, მითუმეტეს, როდესაც სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა განმარტებით შხამ-ქიმიკატების და თერმული ნისლის სწორად გამოყენებას სხვა კულტურებზე უკუშედეგი არ უნდა გამოეწვია. მოსაზრება ერთია - რეალობა კი სულ სხვაა.

ამრიგად 2018 წლის საკმაოდ ნეგატიურმა მოვლენებმა მოსახლეობა უიმედობაში ჩააგდო, გაურკვეველია როგორ მოიმოქმედოს მომავალ სავეგეტაციო პერიოდში, ისევ დათესოს მარცვალი , ისევ გააშენოს თხილი, ისევ იზრუნოს ბოსტან-ბაღჩეულის მოსაყვანად თუ ყველაფერზე თქვას უარი და ლუკმა-პურის საშოვნელად მეზობელ ქვეყნებში მონურ სამუშაოზე გაემგზავროს - ყველა ამ კითხვაზე, როგორც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, ისე ცენტრალურმა ხელისუფლებამ ხალხს დროულად უნდა გასცეს პასუხი - თუმცა ზემოთხსენებულ პრობლემებს წინასწარ ღრმა მეცნიერული შესწავლა და ეფექტური რეკომენდაციების შემუშავება ესაჭიროება, რაც შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა განახორციელოს.

ამ მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ანასეულის" ბაზაზე ენტო-ფიტო და ბიო- ლაბორატორიების შექმნა-დაკომფლექტება. აღნიშნული ლაბორატორიების ფუნქციონირება პერსპექტივაში სუბტროპიკულ ზონაში გააღრმავებს კვლევებს ამ მიმართულებით და შეიმუშავებს მავნებელ-დაავადებათა გამოვლენის , შესწავლის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებებს. ასევე ლაბორატორიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უშუალო დახმარებას გაუწევენ მოსახლეობას მათთვის პრობლემურ საკითხებზე.

ᲖᲐᲣᲠ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებატა დოქტორი დოქტორი პროფესორი;
ᲜᲘᲙᲐ ᲒᲣᲜᲗᲐᲫᲔ,
ახალგაზრდა ფერმერი.

მშვენიერებავ, სოფო უნდა გერქვას შენ!

თემურ მარშანიშვილი

არა ორიგინალობისთვის, არამედ ობიექტურობისა და მიღებული უდიდესი სიამოვნებისთ-ვის, მინდა, ეს წერილი მადლობით დავიწყო. და ეს მადლობა ვის ეკუთვნის, თუ არა ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მის უნარიან ხელმძღვანელს, ქალბატონ ლიკა ბაქანიძესა და შესანიშნავ თანამშრომლებს, რომელთა ძალისხმევითაც 14 სექტემბერს ბიბლიოთეკის დარბაზში სოფიო ღლონტის პოეზია, ჩემი აზრით, უფრო, ალბათ, ფილოსოფიური ლირიკა დაქარნავარდობდა.

ოზურგეთის ბიბლიოთეკაში არაერთ კარგ ღონიძიებას დავსწრებივარ, ზოგში მონაწილეობაც მიმიღია, მაგრამ სოფიო ღლონტის შემოქმედებით საღამოზე ვერ ვიტყვი, რომ კარგი იყო, რადგან უფრო უკარგესის შეფასებას იმსახურებს. აქ დამსწრე საზოგადოების აღმაფრთოვანებელ საღამოს ისე შვენოდა სოფო, როგორც თვით სოფოს მთელი ეს საღამო, დამუხტული ლექსით, სიმღერითა და თეატრალური ხელოვნებით.

ზოგადად, არიან ადამიანები, რომელთა გაჩენას დაბადება კი არა, მოვლინება ჰქვია. სოფო ღლონტის შემთხვევაში სწორედ ასეთ იშვიათ მოვლენასთან გვაქვს საქმე. დიდება უფალს, ვისაც ასე უხვად დაუბერტყავს თავისი კალთა ამ პირმშვენიერი ახალგაზრდა ქალისათვის, რომელსაც ლექსიც, მღერაც და სცენაც ერთნაირად მაღალ დონეზე ხელეწიფება.

ვერ ვიტყვი, რომ რაღაც სიახლე ვნახე სოფოს პოეზიაში, მაგრამ მისი კალმიდან ქაღალდზე დაღვრილი სიტყვა, მისი ბაგიდან აფრენილი ბგერა იმდენად ჰარმონიულია, იმდენად ლაღია, არ შეიძლება სულში არ ჩაგწვდეს, არ აგაფორიაქოს და არ დაგიპყროს. ხვდები, რომ რაღაც გკლებია და ეს რაღაც სოფოს ფილოსოფია ყოფილა, ლექსად თმული და სიამოვნებით აღსაქმელი.

შემოქმედებითი საღამოს სრულქმნაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჯგუფ „ზღვარის“ წარმომადგენლებმა, მომღერალმა პოეტებმა სერგი ლომაძემ და კახა ბაციტაძემ (გურულმა და ნახევრად გურულმა), რომელთა პროფესიონალიზმისთვის ზღვარი ნამდვილად არ არსებობს.

რაც შეეხება მსახიობ ბესო რუსიეშვილს, ყველაზე ბედნიერი კაცია, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო ადამი მინიატურულ პანტომიმურ წარმოდგენაში, რომელშიც ევად თვით სოფო ღლონტი მოგვევლინა.

არ ვიცი, რას იტყოდნენ კლასიკოსები ეს თეატრალიზებული საღამო რომ ენახათ, მაგრამ ის ვიცი, რომ საბოლოო შეფასებისათვის ერთ-ერთს უნდა დავესესხო და მისი ერთი ცნობილი ფრაზის პერიფრაზირება მოვახდინო: მშვენიერებავ, სოფო უნდა გერქვას შენ!

სოფიო ღლონტი დაიბადა 1983 წლის 4 თებერვალს, ოზურგეთში, სოფელ ნატანებში. დაწყებითი განათლება მეოთხე კლასამდე მიიღო გურიაში, მერე მშო-ბლებმა გადაიყვანეს თბილისში და სწავლა დედაქალაქში განაგრძო. დაამთავრა კოლეჯი „საერო“ გერმანული ენის სპეციალობით, შემდეგ– შოთა. რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი, პარალელურად დაამთავრა ილია . ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. მოღვაწეობდა პანტომიმის თეატრში, რუსთავის სბავშვო თეატრში, თბილისის თოჯინების თეატრში „ჩიორა“. არის მწერალთა კავშირის წევრი, ორი პოეტური კრებულის ავტორი. შვიდი წელია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, ამჟამად მუშაობს თბილისში, ჟურნალში „ქართული ელიტა“ ჟურნალისტად. პირველი კრებული მიუძღვნა თავის ბაბუას, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ლოტბარს, ბატონ ნოე ბარბაქაძეს. კიდევ რაც აკავშირებს ბაბუასთან, როგორც თვითონ თქვა, არის ის, რომ ერთ დღეს არიან დაბადებულები.

დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს მფლობელები 2027 წლიდან დაკარგავენ

მთავრობა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღია-რების პროცესის ამსახველი კანონმდებლობის დახვეწას გეგმავს.

აღნიშნულის შესახებ მომზადებული კანონპროექტის პარლამენტში წარდგენას მთავრობა 2018 წლის საშემოდგომო სესიაზე აპირებს.

როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი კვლავაც მოსახლეობის ფაქტობრივ მფლობელობაში რჩება, თუმცა, მათზე მოსარგებლეთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია სათა-ნადო საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის გამო მიწის რეფორმის ფარგლებშიც ვერ ხდება.

მთავრობის მიერ მომზადებული პროექტით ფართოვდება როგორც მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, ისე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ცნება და ჩნდება მოსარგებლეებისთვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის ახალი სამართლებრივი საფუძვლები.

როგორც კანონპროექტშია

აღნიშნული, ცვლილებით თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლებისა აღიარების რეგულაციები იმოქმედებს 2027 წლის 1 იანვრამდე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ აღიარების შესაძლებლობა გაუქმდება.

,,ამავე პაკეტის ფარგლებში მომზადდება კანონპროექტი, რომლის შედეგადაც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრება მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის საფუძვლებისა და დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა წარდგენაც აუცილებელია უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. საჯარო რეესტრში მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესს აფერხებს კომლის წევრთა საკუთრებისა და მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავი საკანონმდებლო რეგულაციების არსებობა. ამ ინსტიტუტის საბჭოური

შინაარსიდან გამომდინარე, კომლში სამკვიდროს გახსნას უკავშირებს მისი ბოლო წევრის გარდაცვალებას. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით საკომლო წიგნის ჩანაწერი მიწაზე კომლის წევრთა მესაკუთრედ აღიარების საფუძველია, ხოლო კოლმეურნეობის გაუქმებით კომლმა თავისი თავდაპირველი შინაარსით არსებობა შეწყვიტა, ქონება, რომელიც კომლს ეკუთვნოდა, კომლის წევრთა ინდივიდუალურ საკუთრებად (წილის პროპორციულად) უნდა ჩაითვალოს და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის საერთო წესები,‘‘- ნათქვამია პროექტში.

1-ლი ოქტომბრიდან პოლიეთილენის პარკების წარმოება და რეალიზაცია დასჯადი ხდება

საქართველოში პოლიეთილენის პარკების გამოყენება, იმპორტი და წარმოება იკრძალება.

საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, თავდაპირველად აკრძალვა 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკებზე გავრცელდება, უკვე 2019 წლის 1-ლი აპრილიდან კი აიკრძალება ნებ-ისმიერი სისქის პლასტიკის პარ-კების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. ამავე რეგლამენტის მიხედვით, სრულად იკრძალება ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, პლასტიკისა თუ ბიოდეგრადირებადი პარკების კონტროლს შემდეგი უწყებები განახორციელებენ:

პარკების წარმოებისას – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემ-ოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;

პარკების იმპორტისას –

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

პარკების რეალიზაციისას – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

პასუხისმგებლობა პარკის წარმოება-რეალიზაციის წესების დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განისაზღვრება. კოდექსის მიხედვით რეგულირების წესის დარღვევა გამოიწვევს მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით. განმეორებით ჩადენილი ქმედება კი გამოიწვევს მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ამ შემთხვევაშიც შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით.

ცნობისათვის, პოლიეთილენის პარკების აკრძალვაზე საუბარი 2017 წლიდან დაიწყო, პროექტის განხორციელება უკვე 2018 წლის იანვრიდან იგეგმებოდა. თუმცა ამ თარიღისთვის პროექტის დასრულება შეფერხდა და ამოქმედების თარიღმა გადაიწია. მაშინაც და ახლაც პოლიეთილენის და ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების აკრძალვის

მთავარ მიზეზად პარკების ქიმიური შემადგენლობა სახელდებოდა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ბუნებას და რომლის სრულ დაშლას 100 წელიწადზე მეტი სჭირდება.

საინტერესოა ისიც, რომ 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში ერთი მოქალაქე, საშუალოდ, წელიწადში 525 ერთჯერად პლასტიკის პარკს მოიხმარს, ხოლო, მაგალითად, ირლანდიაში აღნიშნული საშუალო მაჩვენებელი არის 14 პლასტიკის პარკი, დანიასა და ფინეთში კი მხოლოდ 4.

FAO: იანვრიდან საწარმოები არა იდენტიფიცირებული ცხოველისგან მიღებულ რძეს აღარ ჩაიბარებენ

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Swiss Agency for Development and Cooperation SDC

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

Food and Agriculture Organization of the United Nations

სეს სურსათის ეროვნული სააგენტო

2019 წლის პირველი იანვრიდან რძის გადამამუშავებელ საწარმოები აღარ შეიძენენ რძეს იმ ფერმერებისგან, რომელთა ცხოველები არაა იდენტიფიცირებული სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნული ცვლილებებისა და თავად იდენტიფიკაციის პროგრამასთან დაკავშირებით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - **FAO**-მ დასავლეთ საქართველოში ფერმერებთან და რძის სექტორში წარმოდგენილ მეწარმეებთან საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ფერმერთა დროული ინფორმირება ახალი რეგულაციის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ კი მეცხოველეობის სექტორში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ცხოველთა იდენტიფიკაციის ეროვნული სისტემისა და ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ცხოველთა იდენტიფიკაციის პროგრამა, რომელიც საქართველოში 2012 წლიდან მიმდინარეობს გულისხმობს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიცირებას საყურე ნიშნებით და ცხოველთა რეგისტრაციას სურსათის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში. პროგრამის უმთავრეს მიზანს ცხოველის და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიკვლევადობა წარმოადგენს, ანალოგიური მიზანი აქვს იმ რეგულაციასაც, რომელიც პირველი იანვრიდან ამოქმედდება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის - , იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის ხელმძღვანელის მიხეილ სოხაძის განმარტებით, რეგულაცია მიკვლევადობის და რძის პროდუქტების ხარისხისა და კეთილსაიმედოობის გაუმჯობესებას საფუძველია.

„ამ ცვლილების უმთავრეს მიზანს რძის და რძის პროდუქტების მომხმარებელთა დაცვა წარმოადგეს. რძის გადამამუშავებელი საწარმოები ჩაიბარებენ რძეს მხოლოდ იმ ფერმერებისგან, რომელთა ცხოველების იდენტიფიცირებულია შესაბამისი საყურე ნიშნებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ცხოველზე განხორციელებულია სახელმწიფო კონტროლი, იგი ვაქცინირებულია და შემოწმებულია ვეტერინარის მიერ, რასაც მინიმუმადე დაჰყავს ზოონოზური ანუ ცხოველიდან ადამიანზე გადამდე დაავადებების რისკი" - აცხადებს მიხეილ სოხაძე.

შეხვედრის ფარგლებშივე ყურადღება გამახვილდა ზოონოზურ (ცხოველიდან ადამიანზე გადამდები) დაავადებებზე, ისეთი როგორიცაა: ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი და სხვა.

იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და ვაქცინაციის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მობინადრე ყველა ფერმერის წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს, განურჩევლად ცხოველების რაოდენობისა, სახელმწიფო ვეტერინარი წელიწადში რამოდენიმეჯერ უტარებს, სახელმწიფო პროგრამით გათვალიწინებულ უფასო ვაქცინაციას (ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი და სხვ...) და ახდენს საქონლის იდენტიფიკაციას საყურე ნიშნებით. ვაქცინაციისა და იდენტიფიკაციის პროგრამისთვის სახელწიფო ყოველწლიურად 4.5 მილიონ ლარს ხარჯავს, აღნიშნული სერვისები კი ფერმერს სრულიად უფასოდ მიეწოდებათ.

იდენტიფიკაციის სისტემის მიზანია, ცხოველთა მიკვლევადობა და ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური გარემოს შექმნა, რომელიც პირდაპირ კავშირშია, როგორც ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან, ასევე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდაზასთან.

2016 წლიდან იდენტიფიკაცია - რეგისტრაციის პროგრამა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და ავსტრიის განვითარების სააგენტოების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

სულთათანა

- გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს მსახიობ ბელა კიკვაძეს მეუღლის **გია გოგიბერიძის** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი



												„მელოტი" ტბა				რიცხვი
							თეფში	მინერ-ალური წყალი			ქალაქი რაჭაში	კუნძული სადაც იცინ-იან				
							მექალთანე									აღმოსავლური ორთაბრძოლა
							აშშ-ს მსახიობი პრეზიდენტი				კორნერი			ერევანი		
													გორგასლის ქალაქი	ჯეირანი		ქიმიური ჭურჭელი
							უნგრული ავტობუსი		მძიმეწონოსანი რუსი ჰოკეისტი				სოფელი სამეგრელოში			
		მოჩხუბარი მამალი		შრიფტის სახეობა		მამაკაცის სახელი			კოჭლი							
		ვაჟი		პატარა ზომის ფრინველი					ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი						დაბალი ხარისხის ბენზინი	
		რიგითი ჯარისკაცი ჭადრაკში						დედამიწის თაღი			ლიანდაგის რკინა	ცეცხლის ენა				
															ქირავნობა	
ქალის სახ-ელი										საბზრიალა			იტალიელი მომღერალი			
განთიადი						... ლისაშვილი		ზღვის პეიზაჟი		დიდი ისტო-რიული მონაკვეთი		შრომა	თმის საღებავი			

№ 35-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გალაკტიონ ტაბიძე; სკანდალური ამბავი – სეირი; საუკეთესო ფეხილი – მინდი; ატრაქციონი შეკვეთილში – ციცინათელა; ცივი იარაღი – დანა; უზბეკეთის დედაქალაქი – ტაშკენტი; უძველესი პროფესია – პროსტიტუცია; თამბაქოს ნაწარმი – პაპიროსი; ბუჩქოვანი ყვავილი – იასამანი; გვარი, რომლისთვისაც შაურიც კარგია – კაიშაური; შემინული აივანი – შუშაბანდი; მუნიციპალიტეტი იმერეთში; სამიანი ნარდში – ია; ფრინველთა წრიული ფრენა – ირაო; „პირველი მერცხალის" პერსონაჟი – იასონი; ქალაქი ყაზახეთში – ყარაგანდა; მუსლიმანთა მოძღვარი – იმამი; ადგილი ვაგონში – ტამბური; წვრილნაყოფა ბალახოვანი მცენარე – ჰიაფერა; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; საზეიმო მუსიკა – მარში; მესამე ხმა – ბანი; ძვირფასი მერქნიანი მცენარე – თელა; ტატიანა შემოკლებით – ტატი; კავშირი – და; უარყოფა – არა; ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელება – პროპაგანდა; გვიანის ანტიპოდი – ადრე; ჩოგბურთელი ... სანჩესი – არანდა; ქალის სახელი – ირინა; მესამე ასობგერა – გ; ქალაქი თურქეთში – ანკარა; პატარა კაცი – ჩია; სახელმწიფო ევროპაში – მონაკო;

სამედიცინო და კულტურული ტურიზმი

ბახმარო

ბახმარო მთის კლიმატური კურორტია,მდებარეობს მესხეთის ქედის ფერდობებზე,ბახვის წყლის ხეობაში.ბახმარო მთის სახელია.პროფესორ იური სიხარულიძის აზრით სიტყვა ბახმარო სვან-რი წარმომავლობისა და ნიშნავს კაცის გადასასვლელს, ,,ბახ''-ნიშნავს გადასასვლელს,ხოლო ,,მარო'' არის ტერმინი კაცის სვანური შესატყვისის ,,მარეს'' არსებობს ლეგენდა ბახმაროს შესახებ, თედო სახოკია თავის მოგზაურობაში აღწერს: ,,ხალხში შემორჩენილია ამბავი ბახმაროს სახელწოდებისა: ერთ აჭარელს გურიაში ერთი ლამაზი ქალი მოუტაცნია. ქალს სახელად მარო რქმევია, მომტაცებლს რა თქმაუნდა მდევრები გამომსდგომიან და დასწვიან კიდეც,სწორედ ბახმაროსთან აჭარელს გადაუწყვეტია, ეს არის წამართმევენ ჩემი გულის დამტყვევებელს და რაკი მისი ალერსითა და სიყვარულით მე ვერ დავსტკბები,ნურც სხვა გაიხარებსო და ეგოისტ არშიყს თავისი მშვენიერი ტყვე მოუკლავს და მდევართათვის ოსმალურად დაუძახნია: ბახ-ნახე მარო ქალის სახელი...ბახმაროს მთები მთელ გურიაშიგანთქმულია თავისი საზაფხულო, ალპური საძოვრებითა და მდიდარი ტყეებით.ეს 30000 დესეტინის სივრცის ადგილი საკუთრება იყო გურიაში ცნობილი თავადიშვილების-ერისთავებისა, ხოლო დღეს პატრონად გამოუჩნდა ხაზინა....გურიაში როდის მიაქციეს ბახმაროს ყურადღება,როგორც საგარაკო ადგილს? სულ არ იქნება 7-8წელიწადი,ისიც სრულიად შემთხვევით.აქ ზაფხულობი მეჯოგე მწყემსებს სოფ. გურიანთის მხცხოვრებ ძმათა ქარცივაძეთაგან ერთს ზაფხულს ერთ-ერთი ძმა ამოჰყვა ,,საჰაიეროდ'', გურიანთის ციებისაგან განსაკურნებლად.მთის ჰაერმა,საუცხოო წყალმა თავისი ზეგავლენა იქონია ,,მოჰაიერეზე'' და ციებისაგან შვება მოცემული ჩამოვიდა ბარად.მეორე ზაფხულს ძმა ამოიყვანა,ისიც მოკეთებული დაბრუნდა.მერე სხვებს ურჩიეს.ამ სახით პიონერებად ქარცივაძეები ით-ვლებიან.პირველი სახლი(ხისა) აქ ნიკიფორე ქარცივაძემ ააშენა .ამას სხვებმაც მიბაძეს, სატყეო უწყების აგენტს სამოსახლე ადგილები სთხოვეს, ამნაც თითოეულს მთხოვნელს 200 ოთკუთხა მხარი მიწა ,მიუზომა ორ მანეთად წელიწადში. მერე ექიმიც ამოვიდა ბახმაროზე ,შეამოწმა ამ აგარაკის კავი,ციების საწინააღმდეგო თვისება და თავის პაციენტებს ურჩია ამოსვლა. ამან უფრო წააქეზა ხალხი და მოაშურეს ამ სახით,იქ სადაც ამ 7-8 წლის წინათ(თედო სახოკია გურიაში იმყოფებოდა 1896 წელს) ორად-ორი სახლი იყო.დღეს 60 მეტი საგარაკო სადგომია წარმოდგმული.მათ შორის 9 დუქანიცაა. სახლს და სამზარეულოს (ცალკე) 300 მანეთად დაგიდგამენ თავისი მასალით. ორთვალს. 100-150 მანეთად .ზოგ სახლს ბუხარიც აქვს. ერთი პირი 30 მანეთი ჯდება.ბახმაროს მთის ჰაერით სამკურალოდ ჯერ-ჯერობით ამოდიან გურიის ვაკე-ადგილების ციებით დაავადებულები ოჯახობანი. მომსვლელთა რიცხვი ყოველ წლობით მატულობს.მაგ შარშან ზაფხულს 1000 სული მოჰაერე იყო. ამოსვლა შეიძლება მხოლოდ ცხენით. თან მოაქვთ ყველა საბან-გობანი და სურსათი.,რადგან აქ სასტუმრო არ არის. უმეტეს შემთხვევაში ყოველ ოჯახობას თავისი საკუთარი სახლი აქვს. იშვიათად თუ ვინმე ჰქირაობს ოთახსა .სეზონში ერთი ერთნახევარი თვე.ერთი ოთახი 20- 25 მანეთი ჰფასობს .შარშან გასაქირავებელიც არ იყო ოთახი.ცხოვრება შედარებით ძვირია, რადგან ბარიდან(ოზურგეთიდან) ამოტანა სურსათის ძვირი ჯდება ჩალვადრებს ერთ საქონელზე მარტო ამოტანის 40-50 კაპ.მიაქვთ. არის აქ ცხრამდე დუქანი, სადაც თითქმის ყოველ გვარის სანოვაგის შოვნა შეიძლება და რა თქმა უნდა სამი-ოთხი კაპიკი მეტი ღირს აქ საქონელი, ვიდრე ოზურგეთში. მაგ. გირვანქა შაქარი ოზურგეთში სამი შაური,რომ აქ 18 კაპიკად ფასობს, პური გირვანქა -6 კაპ.მერე კარგი პურის შოვნაც ძნელია .მეტად ცუდ პურს აცხობენ აქაური მეპურენი.მეგრელ მწყემსებისაგან საკლავს იშოვით ოყა (3 გირვანქა, 1,2 კგ.) 20 კაპიკი, იმათვე შემოაქვთ სულგუნი (გადაზელილი ყველი) თითო 10-12 კაპ. რძე ბოთლი ორი შაურად.კარაქი და ერბო აჭარელ მწყემსებს მოაქვთ მახლობელ ვილებიდან. საზაფხულო სეზონი ბახმაროზე იწყება თიბათვის 20-ს შემდეგ ამაზე ადრე არ ამოისვლება - ძალზე ცივა ხანდახან ,როგორც შარშან 12 თიბათვეს (ივლისს) თოვლი მოსულა. სეზონი მარიამობისთვის შუა რიცხვებამდე გრძელდება .ღამ-ღამობით სიცივეები იცის,სითბო ხშირად 8 გრადუსამდე დასულა .32 გრადუსი სიცხე აქ მაქსიმალურია .შარშანწინ ყოფილა ასეთი სიცხე და მოაგარაკენი შინ ვერა ჩერდობოდნენ და ყველანი იქავ მოდებულ ნაძვნარში იმალებოდნენ თურმე. მოაგარაკეთათვის აქ გასართობი ჯერ არაფერია,ყოველ საღამოს ბურთაობა იმართება,რომელშიაც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას ...სიმღერა ფერხული, ლეკური ისეა გამართული,როგორც გურიის რომელსამე სოფელში დღეობის დროს .ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზივით ეხვევოდნენ ქალი თუ კაცი. დიდ პატივშია ნარდისა და ქაღალდის თამაში. სასეირნო და თვალის სასეირო ადგილები აქ ბევრიაგარშემო მდებარე მთები: ბაისურა, განდრეკილი, ფაფარა, საყორნია და მისი კალთები მშვენიერი სასეირნო ადგილებია.ბახვის წყალი,სადაც მხოლოდ კალმახები იცის, მშვენიერი საბანაო.ცივი წყაროები ყოველ ნაბიჯზეა ,მათ შორის ერთია შესანიშნავი ეგრეთ წოდებული ,,გურიელის საცივი'' (საცივს გურიაში წყაროს ეძახიან) ბახმაროს ჩრდილოეთით მაღლობზე ,ამ წყაროს წყალს 4 გრადუსი -ღა აქვს სითბო. როგორც აქაურები მოგვითხრობენ ადრე გურიის მთავარი სანადიროდ სოფ.ასკანიდან (20 ვერსია ბახმაროდან),რომ გამოვიდოდა სადილობისას ამ ადგილას ატანდა და სადილს ამ წყაროსთან მიირთმევდა და სახელიც აქედან დაერქვა ამ ადგილსო.ექიმი ბახმაროზე არ არის. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ბებია იყო და ერთი ფერშალი,ბებიას რა თქმა უნდა პრაქტიკა ნაკლებად ჰქონდა ,ხოლო ფერშალი ქინაქინას ბევრს ასაღებდა ,იმიტომ ჩუმი ციება ვისაც აქვს ტანში, აქ რომ ამოვა უსათუოდ უნდა გამოჩნდეს.როცა ბახმარო გაიზრდება,შესაფერისი გზა გაუკეთდება, აქ ამოსვლას შემთხვევითი ხასიათი არ ექნება,მაშინ უეჭველია თავისი ექიმიც გაუჩნდება,რაიცა მოაგარაკეთათვის აუცილებლად საჭიროა .ამბობენ, აზრადა აქვთ-ბათომის ლაზარეთიც,სადაც ციებიანი ბევრია, ზაფხულობით აქ ამოიტანონ ხოლმეო. ბახმაროზე ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი უწიგნსაცავობაა.გაზეთები ბევრსა აქვს გამოწერილი,მაგრამ საქმეს მათი მიღება აჭირებს.მეტად უწესრიგოდ ამოაქვთ,ხოლმე.შარშან ზოგიერთმა მანდილოსნებმა ითავეს, მომავალ წიგნსაცავის სასარგებლოდ ხელმოწერით ფულიც კი შეჰკრიბეს, ჰფიქრობდნენ, სოფ ასკანის წიგნსაცავის ჟურნალ-გაზეთები ზაფხულობით ბახმაროში დაიბარონ და ამისათვის საკუთარი კაციც დაიჭირონ.აქ მოჰაერეთა გარდა აქ ამოდის მაზრის უფროსი,თან მოსდევს ერთ-ერთი ბოქაული,რომელიც წესრიგსა იცავს,შიში ფირალებისა სრულებით არ არის, თუმცა ბახმაროს გარშემო ტყე და ტიალები აკრავს და 20 კილომეტრის სიახლოვეს სოფელი არ არის.ყველანი უდარდელად ცხოვრობენ. ჯერ მაგალითი არ ყოფილა,რომ ვინმე გაძარცვათ,ზამორობით კი ცარიელდება აქაურობა ,ძე ხორციელი არა დგება .სახლები უპატრონოდ რჩება.ამ უპატრონოდ დაგდებულ სახლებს,მეჯოგენი რაზა-კოჭებს აცლიან და თუ ადრეული ზამთარია, თავის კარვებს თავს ანებებენ და სწორედ იმ ოთახებში,სადაც ამ ერთი თვის წინათ განცხრომითა ვცხოვრობდით, საქონელს აყენებენ.''(თედო სახოკია ,,მოგზაურობანი'',1985წ.გვ.127-129გვ.)

ბახმარო და მის ი მიმდებარე ტერიტორიები 30 000 დესეტინა მიწის ფართობი (დაახლოებით 3300 ჰექტარი)იკუთნოდა გურიის ფეოდალებს ერისთავებს, რომელთა საცხოვრებელი რეზიდენცია სოფელ გორაბერეჟოულში იყო,როგორც ავღნიშნეთ, ბახმარო მწყემსებმა აღმოაჩინეს.ოზურგეთის მაზრის ექიმმა არტემ დავიდიანცმა 1893 წელს ციებითა და ტუბერკულიოზით დაავადებული დამდენიმე ავადმყოფი ბახმაროზე გაგზავნა სამკურნალოდ იქედან უმეტესობა გამოჯამრთელებული დაბრუნდა .1894 წელს თავად დავიდიანცი, რომელიც ასევე ტუბერკულიოზით იყო დაავადებული, ბახმაროზე წავიდა სამკურნალოდ.მანვე პატარა სახლი ააშენა იქ(ბახმაროს მოედანი,სადაც დავიდიანცმა სახლი აიშენა, დღემდე მის სახელს ატარებს.) შემდეგ წელს დავიდიანცი ფერშლებთან ერთად ავიდა ბახმაროზე და აკვირდებოდა სხვადასხვა სენით შეპყრობილ მოაგარაკეთა მდგომარეობას.

1896 წლიდან ბახმარო და მისი მიწები სახაზინო საკუთრებაში გადავიდა.

მოგვიანებით ბახმაროსა და მისი მომიჯნავე ადგილები გეოლოგიურად შეისწავლა გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მირიან ძველაიამ, რომელიც წერდა,რომ ,, ბახმარო უნიკალური ადგილია ევროპაში,თითქმის ყველაზე მაღალი კურორტია , მთის მკაცრი ჰავა შერწყმულია ზღვის თბილ ჰავასთან''.

1900 წელს ჩამოყალიბდა ,,ბახმაროს მომხმარებელთა საზოგადოება''.რომლის ფუნქცია აგარაკის მართვა-გამგეობა და კეთილგანწყობა იყო.შეიქმნა გზის,სასურსათო-საკონტროლო,ტყეებისა და საკურორტო ზონის დაცვის

კომისიები,დაიწყო მისასვლელი გზების გაჭრა და სახლების აგების ხელშეწყობის სამუშაოები.გაჩნდა პირველი მაღაზია,რომელიც ვინმე კასიანე ქინქლაძემ გახსნა.

1908 -1914 წლებში ყველა დასახლებულ უბანში წყაროს წყალი გაიყვანეს.1899წელს ბახმაროში სახალხო თეატრი ააშენეს,სადაც მსახიობებები ალექსანდრე, ევგენი, სამსონ წუწუნავები,კოლია ბებურიშვილი და სხვები იყვნენ. დგამდნენ ნაწყვეტებს შილერის ,,ყაჩაღებიდან'' და გოგოლის ,,რევიზორიდან''.1905 წელს თეატრი დაიწვა .ახალი შენობა 1913 წელს აგეს.1913-1917წელში ბახმაროში ადიო- და სიმებიანი ორკესტრი კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის ხელმძღვანელობთ.

1923 წელს ბახმარო რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა.დაიწყო ბახმაროს პოპულარიზაცია ,გამოდიოდა წიგნები, ეწყობოდა სამედიცინო და სამეცნიერო ექსპედიციები.1932-1933წელში პროფესორ გავრილენკოს ხელმძღვანელობით ბახმაროში მოეწყო ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო ბახმაროს, როგორც ზამთრის კურორტის პოტენციალის შესწავლა.

ზამთარში თოვლის საფარი შვიდ მეტრს აღწევს,ამიტომ გავრცელებულია დაბალ ბოძებზე შემდგარი და ხისაგან აშენებული ყავით გადახურული სახლები, რომლებიც უკეთ უძლებენ დიდთოვლობას. ახლა ბახმაროში სხვა რეალობაა. კურორტი კეთილ მოწყობილია და ლამაზი კოტეჯებითაა დამშვენებული. კეთილმოწყობილი კოტეჯის ფასი სეზონზე 1500 ამერიკული დოლარამდე ადის,მაშინ როცა მე-19-ე საუკუნის ბოლოს, როგორც ამას ქართველი მოგზაური და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წერს, სეზონზე ერთი ოთახი 20-25 მანეთ ფასობსო.

საუკეთესო დრო დასვენების არის ივლისი და აგვისტო. 19 აგვისტოს ფერიცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით, ყოველწლიურად იმართება დღი და სხვა დღესასწავლები,რითაც სეზონის დასრულება აღინიშნება.თუმცა ზოგი დამსვენებელ ი სექტემბრის ბოლომდე რჩება, რადგან ამ დროს წიწვიანი ნაძვი და სოჭი ყვავის და ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლოა.

საინტერესოა დამსვენებელთა რაოდენობა თუ 1895 წელს დამსვენებელი 1000 კაცს აღემატებოდა, 2002 წელს 5000 ათასი კაცი.წელს, როგორც ამბობენ, 15 ათასი იყო, თუ მეტი არა. იმასაც ამობენ, ადგილობრივთან ერთად ბევრი იყო დამსვენებელი თბილისიდან და ქუთაისიდანო.

დღეს ბახმაროს მთელი წლის კურორტად გადაკეთებაზე აქტიურად მიმდინარეობს. სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების მიზნით სათხილამურო ტრასის მშენებლობის შესახებ მუშაობა ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო.როგორც სპეციალისტები ასკვნიან,პერსპექტივაში კურორტს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობები,როგორც სამკურნალო გამაჯანსაღებელი,ისე სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების მხრივ.

თბილისის შ ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამედიცინო ცენტრის პროფესორ თამარ ჩილინგარაშვილის მონაცემებით, გურიის რეგიონში საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებულია(2005 წლის 22 ივლისის 655 ბრძანებულება, დანართ 1). 4 კურორტი-ბახმარო,ნაბეღლავი,ურეკი,გრიგოლეთი და 4 საკურორტო ადგილი-გომის მთა ,ნასაკირალი,სუფსა და შეკვეთილი.ამდენად ბახმარო მთის კლიმატური კურორტია და როგოც ზემოთ ავღნიშნეთ ერთ-ერთ საუკეთესო,რომლის სამკურნალო ჩვენებებია:სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებიქრონიკული ბრონქიტი, მშრალი ბრონქიტი,მეზენტერიული ბრონქული და პერიფერიული ლიმფური,ჯირკვლების ლიმფადენიტი, ქრონიკული ტუბერკულოზური ანთებითი პროცესების დახურული ფორმები,რაქიტი,მეორადი ანემია,ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის საისტორიო
გართიანების ფონდების მთავარი
მცველი

„გურია არის პოლიფონიის მსოფლიო ცენტრი“

ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრი გაიხსნა

ფოლკლორის ცენტრის გახსნის ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ჯუანშერ ბურჭულაძე, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, პარლამენტარები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სტუმრები თავდაპირველად ანსამბლ „გურიას“ შემოქმედებას გაეცნენ. შემდეგ კი კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა, ანზორ ერქომაიშვილმა და ფოლკლორის ეროვნული ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ საზეიმოდ გაჭრეს ლენტი.

მიხეილ ბატიაშვილმა ცენტრის გახსნის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა:

—ეს არის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, რომელიც დაეხმარება თავისთავად ქართული კულტურის განვითარებას. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ეს იქნება მომავალი თაობისთვის, ახალგაზრდებისთვის ქართული კულტურის გაცნობის, ქართული სიმღერის მრავალხმიანობის და ზოგადად, ქართული ფოლკლორის შესწავლის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი. აღნიშნულ ცენტრში დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის შავი ზღვის ფოლკლორის ფესტივალი, რომელიც საერთაშორისოა და მომავალ წელს გაიმართება.

—გურია არის პოლიფონიის მსოფლიო ცენტრი, — აღნიშნა თავის გამოსვლაში გიორგი დონაძემ. ფოლკლორის ცენტრი დასავლეთ საქართველოს მოემსახურება და აქ მრავალი ღონისძიება ჩატარდება, ხოლო ხმის ჩამწერ სტუდიაში დაგეგმილია სიმღერების ჩაწერა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, კვლავინდებურად, სალოტბარო სკოლები იქნება, რომლებიც უნიკალური ქართული

სიმღერის გადარჩენასა და პოპულარიზაციას ემსახურება, — თქვა მან.

—ჩემს ცხოვრებაში არის რამდენიმე დღე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. 2001 წლის 18 ივნისი, როდესაც იუნესკომ ქართული სიმღერა მსოფლიო პოლიფონიურ შედევრად აღიარა, მაშინ იუნესკოში ვმუშაობდი ფოლკლორის კომისიაში. რა დამავიწყებს... ათასკაციან დარბაზში აღიარეს ქართული ხალხური სიმღერა, სცენიდან „ჩაკრულო“ და „ხასანბეგურა“ ისმოდა, დარბაზი ფეხზე ადგომით შეხვდა ამ ფაქტს. ამ დროს სევდამ შემიპყრო და ჩემს თვალწინ გაირბინა იმ ხალხის სახეებმა, იმ მომღერლების სახეებმა, რომლებმაც ქართული ხალხური სიმღერა ჩვენამდე მოიტანეს, ქართული ხალხური სიმღერა კოსმოსში გაუშვეს და შემოგვინახეს ისე, როგორც საჭირო იყო. ძალიან ამაყი ვიყავი და ეს დღე მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც დღევანდელი დღე — ამ ცენტრის გახსნა ახალი თაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყველას მადლობა, ვინც ამ სიკეთეში მიიღო მონაწილეობა“, — აღნიშნა ანზორ ერქომაიშვილმა.

თავის გამოსვლაში ფოლკლორის ცენტრის გახსნის იდეაზე ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ოზურგეთში ფოლკლორის ცენტრის გახსნის ინიციატორები და მხარდამჭერები იყვნენ ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ჭკუასელი, ირაკლი ღარიბაშვილი, მიხეილ გიორგაძე, ვასილ ჩიგოგიძე და ავთანდილ სურგულაძე.

ფოლკლორის ცენტრის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „გურია," „შემოქმედი“, „შვიდკაცა“, „ბასიანი“, ადგილობრივი ტრიო „შალვა ჩემო" და მგალობელთა გუნდი, სალოტბარო სკოლის ჯგუფებმა ოზურგეთიდან, მესტიიდან და ონიდან.

საზეიმო გახსნის ცერემონიალი კონცერტის მონაწილეების ერთობლივი „მრავალჟამიერით“ დასრულდა.

საქართველოში ფოლკლორის განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ფონდ „ქართულ გალობას“, რომელსაც ოზურგეთელი ბიზნესმენის ვანო ჩხარტიშვილის მეუღლე ნანა გოთუა ხელმძღვანელობს. ამ დღეს ღონისძიებაზე, ნანა გოთუასთან ერთად, ვანო ჩხარტიშვილს და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს ელოდნენ. ისინი არ დასწრებიან ფოლკლორის ცენტრის გახსნის ცერემონიალს. მოგვიანებით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა ბიძინა ივანიშვილს ქ. ოზურგეთში საკუთარ სახლში უმასპინძლა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +14+22	მზე ღრუბელი +14+27	მზე, ღრუბელი +11+18	მზე, ღრუბელი +14+22	მზე, ღრუბელი +18+25	მზე, +17+25	ღრუბელი +14+24
24 სექტემბერი	25 სექტემბერი	26 სექტემბერი	27 სექტემბერი	28 სექტემბერი	29 სექტემბერი	30 სექტემბერი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა